შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (9.668)

7-14 თებერვალი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გაზრდილი დახმარება სოციალურად დაუცველებს

შეშის ღირებულების გარდა, დედოფლისწყაროში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები ამიერიდან ზამთრის სეზონის განმავლობაში ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებით 20 ლარს მიიღებენ. თანხა მათ ყოველთვიურად გამოეყოფათ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად მუნიციპალიტეტისგან ყოველთვიური შეღავათებით სარგებლობენ, ზამთრის სეზონის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, დეკემბერი) ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად დამატებით 20 ლარს მიიღებენ, ხოლო ის ოჯახები, რომლებიც ბუნებრივი აირით არ (ვერ) სარგებლობენ, აღნიშნული თანხით ელექტროენერგიის ღირებულება დაეფარებათ.

შესაბამისი განკარგულება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე მიიღო.პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 25 000 ლარი გამოიყო.

„ამ ეტაპზე ბიუჯეტის სიმწირემ მეტის საშუალება არ მოგვცა, სამომავლოდ შევეცდებით აღნიშნული პროგრამა გავაფართოვოთ და შეღავათი კიდევ უფრო მეტმა თანამემამულემ მიიღოს“ - აცხადებს სოსო ჯამასპიშვილი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური პაკეტებისთვის გათვალისწინებული თანხა, 2014 წელთან შედარებით, 78 000 ლარით გაიზარდა.

ამას გარდა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის კიდევ ერთი პროგრამა ამოქმედდა. ზამთრის სეზონზე პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კატეგორიის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის ნორმად 100 ლარი დადგინდა.

როგორც დედოფლისწყაროს გამგეობაში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, პროგრამისთვის 80 000 ლარია გათვალისწინებული. შესაბამისი განცხადებების მიღება 28 თებერვლამდე იმოქმედებს და დახმარებით სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეები ისარგებლებენ.

*** მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი;**

*** მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახები;**

*** შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ბავშვიანი ოჯახები;**

*** მარტოხელა პენსიონერის (პენსიონერთა) ოჯახი, რომელსაც არ ჰყავს კანონით გათვალისწინებული შრომისუნარიანი მარჩენალი მისი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად;**

*** ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვიანი ოჯახი;**

*** მარტოხელა დედა;**

*** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა ოჯახები;**

*** სოციალურად დაუცველი ოჯახი 100 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით, რომელიც არ მიეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას, მაგრამ რეკომენდაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი და ასევე საკრებულოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრი.**

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ხსენებული კატეგორიის მოქალაქეს მოუწოდებს თვის ბოლომდე მიმართონ გამგეობას, რათა დროულად მოხდეს დოკუმენტაციის მოწესრიგება და პროგრამით დასრულება.

საარქივო მასალების მიხედვით, 2011-12 წელს ამგვარი დახმარება დედოფლისწყაროში 400 ოჯახმა მიიღო, გასულ წელს კი ეს მაჩვენებელი გაორმაგდა და დახმარება 800 ოჯახზე გაიცა.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაუჩერების დარიგება დაიწყო

მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, კახეთის გუბერნატორთან, ირაკლი შიოლაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ თებერვლიდან „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ დაიწყო.

კახეთის რეგიონს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი მარიანა მორგოშია, „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ მენეჯერი დავით კიკნაძე და შპს მექანიზატორის დირექტორი ზვიად ჩხაიძე სტუმრობდნენ. მათ რეგიონის გუბერნატორს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში წინასწარი მონაცემებით დახმარებას კახეთის რეგიონის 99 ათასზე მეტი ბენეფიციარი მიიღებს. აქედან ხვნის ბარათს 73 ათასი ფერმერი. ხვნის ბარათის დარიგების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია.

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში“ წელს 800 ათასი ფერმერი მიიღებს მონაწილეობას და მისი ბიუჯეტი 50 მილიონ ლარს შეადგენს. სახნავი მიწებისა და ბარათების დარიგების არეალი გაფართოვდა და მას დაემატა ქუთაისს, ფოთსა და რუსთავს შემოერთებული სოფლები .

მთავრობის ინიციატივით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი 2013 წელს დაიწყო. წელს სამწლიანი პროგრამის ბოლო ეტაპია. სამთავრობო პროგრამა სოფლად მაცხოვრებლების ფერმერულ მეურნეობად ჩამოყალიბების მიზნით მათ ხელშეწყობას ითვალისწინებდა. ნიადაგის ხვნის სამუშაოებს შპს“მექანიზატორი“ და კონტრაქტორი კომპანიები უზრუნველყოფს. კონტრაქტორი კომპანიების რეგისტრაცია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში უკვე დაწყებულია.

„აგრო ბარათით“ მომსახურებას ფერმერებს წელსაც ლიბერთი ბანკი გაუწევს. პლასტიკური ბარათით ფერმერს შესაძლეობლობა ექნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის შეძენის (სასუქები, სათესლე, სანერგე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები).

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშოების ხელშეწყობის პროექტი“ თებერვლიდან დაიწყო და 1 დეკემბერს დასრულდება.

როგორც ქალაქ დედოფლისწყაროს რწმუნებული ბესიკ ცისკარაული ამბობს, მათ 1 700 აგრო ბარათი მიიღეს და გაცემის პროცესი უკვე დაიწყო. მისი განმარტებით, მოქალაქეთა აქტივობა მაღალია, თუმცა გასულ წელთან შედარებით წელს სიები არეული მოვიდა, რაც გაცილებით მეტ დროს მოითხოვს.

„მოქალაქეები აქტიურად გვაკითხავენ და ჩვენც მათი გაცემა უკვე დავიწყეთ, თუმცა ერთი ის გარემოება გვაფერხებს, რომ რატომღაც წელს ალფავიტის მიხედვით დალაგებული და დახარსხებული სიები არ მიგვიღია. ყველაფერი არეულია და მოქალაქეების ძებნა ამხელა სიაში გვიხდება, ეს კი დამატებით რესურსს და დიდ დროის მოითხოვს“.

ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე?

გვ.3

„მოდის მუზა, როგორც თოვლის ფანტელი“...

გვ.4

დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება 1 აპრილიდან დაიწყება

გვ.2

ვი წელი-სპორტის სამსახურში



გვ.6

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიაში „ახალი ამერიკული უსაფრთხოების ცენტრის“ წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყო. მიუნხენის 51-ე უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში პირველი შეხვედრა საქართველოს მთავრობის მეთაურმა “ახალი ამერიკული უსაფრთხოების ცენტრის” პრეზიდენტ რიჩარდ ფონტეინთან და ცენტრის აღმასრულებელ დირექტორთან, მიშელ ფლურნოისთან გამართა.

შეხვედრის მთავარი თემები საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების საკითხები, მათ შორის საქართველო-ამერიკის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში წარმატებული თანამშრომლობა და საქართველოს ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხები იყო.

აღინიშნა, რომ ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ. საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს თანამშრომლობის არსებითი პაკეტის განხორციელების პერსპექტივებს.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოში გატარებულ დემოკრატიულ რეფორმებზე და ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე.

შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ სიტუაციაზე. გამოითქვა შეშფოთება რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან გაფორმებული ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმთან დაგეგმილი მსგავსი „ხელშეკრულების” გაფორმების გამო.

მხარეებმა გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრეს. აღინიშნა საქართველოს მიერ საერთაშორისო მისიებში შეტანილი წვლილი. საუბარი ასევე შეეხო რეგიონში არსებულ მდგომარეობას, მათ შორის უკრაინის კრიზისს.

შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლადო ჭანტურია დაესწრნენ.

2014 წლის ნომინანტები:

გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდნენ ცნობილი ადამიანები ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციებში.

ნომინაციაში „საუკუნის ლეგენდა“:

მედეა ამირანაშვილი-ვოკალისტი;
მანანა ახმეტელი-მუსიკისმცოდნე;
ნანი ბრეგვაძე-მომღერალი;
ნონა გაფრინდაშვილი - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში;
ნაირა გორაშვილი-ჟურნალისტი;
თამარ მოძღვრიშვილი-ინდმეწარმე.

ნომინაციაში „ახალგაზრდა პროფესიონალი“:

ანა ხარაშვილი-მხატვარი;
დეიკო ალუღიშვილი-მხატვარი;
ზვიად ბიკაშვილი-ფერმერი;
ზურიკო ბიკაშვილი-ფერმერი;
ძმები: **ლაშა, გიორგი და კახა კუხალაშვილები**-ფერმწერები და მოქანდაკე;
დოდო დიასამიძე-ვოკალისტი;
ინგა შიოლაშვილი-ჟურნალისტი.

ნომინანტების დაჯილდოება გაიმართება 25მარტს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში.

დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება 1 აპრილიდან დაიწყება

2014 წელს მიღებულ შემოსავლებზე, დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელი იქნება 2015 წლის 1 აპრილიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. დეკლარაციის წარდგენის პროცედურა არ შეცვლილა.

გასული წლის მსგავსად, დეკლარირება შესაძლებელი იქნება ელექტრონულად (შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე), ასევე კომერციული ბანკებისა და შემოსავლების სამსახურის სერვის-ცენტრების საშუალებით.

ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მაქსიმუმ 3 თვის განმავლობაში, მოქალაქეს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, დაერიცხება დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა.

თუ 2014 წელს ხელფასის სახით მოქალაქეს დარიცხული აქვს 6000 ლარი (ანუ „ხელზე“ წლის განმავლობაში აღებული აქვს 4800 ლარი), სახელმწიფო უკან დაუბრუნებს 360 ლარს (ანუ დაუბეგრავი მინიმუმის - 1800 ლარის - 20 პროცენტს) თუ მოქალაქეს ერიცხება 1800 ლარზე ნაკლები, მაშინ უკან დაიბრუნებს იმ თანხის 20%-ს, რაც წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიიღო.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს დაუბეგრავი მინიმუმის სახით დაბრუნებულია 128,354,332.72 ლარი, 460,813.00 მოქალაქეზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია შემუშავდა

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია შეიმუშავა. უწყების ინფორმაციით, სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს.

სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 7 მიმართულება და შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა მიხედვით შემუშავდება კონკრეტული სამოქმედო გეგმა, პრიორიტეტების, განხორციელების ვადებისა და დაფინანსების წყაროების გათვალისწინებით.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ინსტიტუციური განვითარება; მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება; რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა; კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განმარტებით, სტრატეგია აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას ისახავს მიზნად.

„სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას, ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას, საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას, სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას, შესაბამისი მოქნილი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას“, -განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

მისივე თქმით, სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებთან მაქსიმალურ მიახლოებას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ირაკლი ღარიბაშვილი - ყველა იმ სახელმწიფო მოხელის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დადგებაჯრომელიც ბიზნესს ხელოვნურ ბარიერებს შეუქმნის

ეკონომიკური საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ბიზნესსექტორის მხარდაჭერაზე ისაუბრეს. როგორც “ინტერპრესნიუსს” საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ქვეყანაში დღეს კონკურენტული და გამჭვირვალე ბიზნესგარემოა, ბიზნესი ხელისუფლების ჩარევისგან სრულად თავისუფალია, თუმცა ბიზნესმენებისთვის სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი და არაფრისმომცემი ბიუროკრატიის შექმნა დაუშვებელია.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ყველა იმ სახელმწიფო მოხელის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, რომელიც ბიზნესს ხელოვნურ ბარიერებს შეუქმნის და პრობლემებს დროულად არ მოუგვარებს.

ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე დღეს ასევე განიხილეს ელექტროენერგეტიკის განვითარების სტრატეგია, ელექტროსისტემის განვითარების გეგმა და ახალი პროექტები, რომელთა ნაწილი თანაინვესტირების ფონდის მონაწილეობით განხორციელდება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ცვლილებები შედის

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოსთან“ ერთად „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტის პრეზენტაცია გამართა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თენგიზ შერგელაშვილის განცხადებით, პროექტი თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესებასა და მონაწილეობის ახალი ფორმების დანერგვას ითვალისწინებს.

კანონპროექტით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითთმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთი ფორმა, როგორიც არის სოფლის/დაბის/ქალაქის საერთო კრება, რომელიც დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და ამ ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს.

ამასთან, კანონპროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ავალდებულებს: განიხილოს საერთო კრების მუდმივმოქმედი ორგანოს განცხადებები, მოთხოვნები და აცნობოს მას განხილვის შედეგების შესახებ. გამგეობასთან/მერიასთან, როგორც სათათბირო ორგანო, ყალიბდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. პროექტში ახლებურად არის წარმოდგენილი პეტიციის წარდგენის წესი, მნიშვნელოვნად უმჯობესდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტებიც.

კანონპროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მომზადდა, თუმცა მასში ასევე გათვალისწინებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ის ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველომ“ და მისმა 16-მა პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ კამპანიის „თვითმმართველობის დროა“ ფარგლებში მოამზადეს და 2014 წლის24 დეკემბერს სამინისტროს წარუდგინეს.

კახეთი მსოფლიოს 10 ყველაზე დაუვიწყარ ადგილს შორის მოხვდა

მსოფლიოში ერთ-ერთმა წამყვანმა ბრიტანულმა გამოცემამ თჰე თელეგრაპჰ—მა გამოაქვეყნა რეიტინგი: “მსოფლიოს 10 არაჩვეულებრივი ადგილი, რომლის შესახებაც არ გსმენიათ.”

რეიტინგი შეადგინეს ცნობილმა მოგზაურებმა სოფი იბოტსონმა და მაქსომ-ლოუველ ჰორმა. როგორც გაზეთი აღნიშნავს, მოცემული რეიტინგი დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ ყველაზე დაუვიწყარი და არაჩვეულებრივი მოგზაურობა განახორციელონ, მოინახულონ ის ადგილები, რომლის შესახებაც ცოტა რამ არის ცნობილი.

მათ შორის არიან: ქალაქი მეროე (სუდანი) ქალაქი მეშჰედი (ირანი) კახეთის მხარე (საქართველო), ვეფხვების ნაკრძალი კანხა (ინდოეთი), კუნძული სოკოტრა(იემენი), ზანკარის მთიანი რაიონი (ინდოეთი), კამჩატკის ნახევარკუნძული (რუსეთი) და სერო დე ლოს სიეტე კოლორესის მთები (არგენტინა.)

ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე?

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს, საკონსტიტუციო ვადა 23 თებერვალს ეწურება. შესაბამისად, მესამე ხელისუფლების ხელმძღვანელის პოსტი ვაკანტური ხდება. ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი პროცესი იწყება, სამართლიანობის აღდგენა სწორედ იმ მოსამართლის ხელში გადადის, ვინც 10 წლით მთავარი მოსამართლის პოსტს დაიკავებს. კანდიდატურის დასახელებას კი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არ ჩქარობს, ქვეყნის მთავარი მოსამართლის შერჩევის პრინციპი უკვე ცნობილია:

მთავარი მოსამართლის პოსტზე წარდგენილი კანდიდატი, ბოლო 5 წლის განმავლობაში პოლიტიკაში ჩართული არ უნდა იყოს და ის არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე პოლიტიკური ძალის კუთვნილებას.

საქართველოს პრეზიდენტი აპირებს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატის დასახელება და პარლამენტისთვის მისი წარდგენა გამჭვირვალედ და ინსტიტუციურად წარმართოს.

დღეისათვის წარმოდგენილ კანდიდატებს შორის, ყველაზე რეალურ კანდიდატად ლადო ჭანტურია სახელდება, რომელიც „ნაციონალების" ხელში მარიონეტი იყო. საზოგადოება ვერასოდეს დაივიწყებს ჭანტურიას გაქცევას, მან მიატოვა ქვეყნის პირველი მოსამართლის თანამდებობა, გარიგებაში შევიდა „ნაციონალურ მოძრაობასთან" და ქვეყანა „ნაცმოძრაობას" შეატოვა. ჭანტურია რომ თავის ნებით არ გადამდგარიყო და პრინციპული პოზიცია დაეფიქსირებინა, შეიძლება არც ამდენი უსამართლო განაჩენი არ დამდგარიყო.

იურისტები თვლიან, რომ ლადო ჭანტურია არის უპრინციპო და უპასუხისმგებლო ადამიანი, რომელმაც ჯერ „ვარდების რევოლუცია" „გააპრავა", შემდეგ კი გაიქცა.

ლადო ჭანტურია გერმანიაში მოკალათდა, ლექციებს კითხულობდა და მისი ყოველთვიური შემოსავალი 9 000 ევრო იყო, სიჩუმის მონობაში გაატარა 9 წელი, მაშინ, როცა ჩვენ გვირტყამდნენ, ძმებს, შვილებს გვიკლავდნენ...

მოდით, მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ და განვიხილოთ, რა დაძაბულ ვითარებაში წარიმართება პროცესები. 2012 წელს 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატის გაყვანა ყველაზე დაძაბული იქნება და მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა პარლამენტს დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტმა უნდა წარუდგინოს, რასაც კენჭი უნდა უყაროს პარლამენტმა და ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის დაპირისპირება უამრავ საკითხზე საზოგადოების განსჯის საგანი არერთხელ გამხდარა. სიტუაციის გამწვავება ყველაზე მეტად სწორედ ამ დროისთვისაა მოსალოდნელი. თუ პრეზიდენტმა, პარლამენტმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, საკითხი გაჭიანურდება. მაშინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი რომელიმე მოადგილე შეასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში მდგომარეობა კიდევ უფრო უმართავი გახდება, არც ისაა გამორიცხული - იყვნენ ძალები, რომელთა ინტერესშიც შედიოდეს სასამართლო სისტემის დესტაბილიზაცია, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს დაძაბულობა.

კანდიდატების სავარაუდო სია კი ასეთია: კულუარებში უკვე სახელდება პირველი მოსამართლის სავარძლის მაძიებელი უამრავი კანდიდატურა. მათ შორის ევა გოცირიძე, (მინდია უგრეხელიძის მეუღლე), ამ პოსტზე ასევე სახელდებიან ბატონები: ლევან მურუსიძე, მერაბ ტურავა, ლადო ჭანტურია, დავით მუმლაძე...

„თავისუფალი დემოკრატები" პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საკუთარი გუნდის წევრის, შალვა შავგულიძის კანდიდატურას შესთავაზებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად შალვა შავგულიძის კანდიდატურა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უკვე წარადგინა მოსამართლეებისგან დაკომპლექტებულმა არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს კონსტიტუციური სამართლიანობის ლიგამ".

"მე დამიკავშირდა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ოთარ ბარათაშვილი და მითხრა, რომ მისი ორგანიზაციის სახელით წარმადგინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატად. ამის შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდანაც დამიკავშირდნენ, მთხოვეს თანხმობის დადასტურება, რაც დავუდასტურე. ახლა ორშაბათის ჩათვლით ადმინისტრაციაში ფორმალური სახის დოკუმენტაცია უნდა წარვადგინო. რა თქმა უნდა, საბოლოო სიტყვა პრეზიდენტმა უნდა მიიღოს, მაგრამ,

მე თანხმობას ვაცხადებ შეთავაზების შემთხვევაში დავიკავო ეს თანამდებობა", - აღნიშნა შალვა შავგულიძემ.

კანდიდატურებს შორის განიხილება გიორგი ჩხეიძის კანდიდატურა, რომელსაც, სავარაუდოდ, არასამთავრობო სექტორი წარადგენს. იურისტ ანა დოლიძის კანდიდატურას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად საინიციატივო ჯგუფი ასახელებს, რომელშიც 5 არასამთავრობო ორგანიზაცია ერთიანდება. საიას კიდევ ერთი ყოფილი ხელმღვანელის- დეპუტატ თინა ხიდაშელის კანდიდატურა წარადგინა ორგანიზაცია "კონსტიტუციური სამართლიანობის ლიგამ".

დეპუტატი წარმდგენ პირებს მადლობას უხდის, თუმცა როგორც აცხადებს, ამ ეტაპზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის სურვილი არ აქვს.

"ვფიქრობ, ჯერ კიდევ აქტიურ პოლიტიკაში შემიძლია მეტის გაკეთება, ვიდრე მანტია ჩავიცვა და დავდუმდე. ამის ასაკი ალბათ ოდესმე მოვა. გარდა ამისა, არის ინტერესთა კონფლიქტი — კარგი არ არის, როცა ერთი ოჯახიდან ორი წევრი სახელისუფლებო შტოების ხელმძღვანელია", - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

უკვე ცნობილია, რომ კონსულტაციებში მონაწილეობას არ მიიღებს საპარლამენტო უმცირესობა. „ნაციონალური მოძრაობაში" თვლიან, რომ პრეზიდენტი ჩართულია პოლიტიკურ თამაშებში, რომელსაც ხელს უწყობს უმრავლესობა. უმცირესობაში აცხადებენ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატად საბოლოოდ წარდგენილი იქნება უმრავლესობის მიერ დასახელებული კანდიდატურა. თავად უმრავლესობა კი საკუთარი კანდიდატურის დასახელებას უარყოფს. მათი თქმით, ისინი მარგველაშვილის გადაწყვეტილებას ელოდებიან.

რაც შეეხება უმრავლესობას, ამ დრომდე უცნობია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის საკითხზე მმართველი გუნდის პრეზიდენტთან შეხვედრის თარიღი. უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია თვლის, რომ მიზანშეწონილია, კონსულტაციები რაც შეიძლება მალე დაიწყოს. ბესელიას განცხადებით, პირველი შეხვედრა უნდა დაეთმოს არა კონკრეტული კანდიდატურების განხილვას, არამედ მათი შერჩევის კრიტერიუმებს.

მაშ ასე, ქვეყანას ძალიან მალე ახალი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ეყოლება. თუმცა, ამ დრომდე უცნობია, ვინ გახდება ქვეყნის პირველი მოსამართლე.

ინგა შიოლაშვილი

აფხაზეთის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების საკითხებზე მორიგი შეხვედრა გაიმართა

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა. ამის შესახებ მედიასაშუალებებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან აცნობეს.

„წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი საკმაოდ შედეგიანი და ნაყოფიერი იყო. აფხაზეთის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების საკითხების განხილვა ურთიერთგაგებისა და სრული ნდობის პირობებში წარიმართა", - აღნიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ გოგი ფაცაციამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ქართულ მხარეს.

მხარეები მსგავსი შეხვედრების რეგულარულად ჩატარებაზე შეთანხმდნენ. გადაწყდა გაზაფხულზე რამოდენიმე სამარხის ექსჰუმაცია აჩადარაში, გუმისთაში, ხონსა და ვაზიანში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ფარგლებში მუშობს ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომლის მიზანს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიება წარმოადგენს. ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფის ფარგლებში, წითელი ჯვრის დახმარებით, მოლაპარაკების შედეგად, 2014 წელს მოხდა ბაბუშერას სამარხის გახსნა და 30 ნეშტის თბილისში ჩამოსვენება.

„მოდის მუზა, როგორც თოვლის ფანტელი“...

ძვირფასო მკითხველო, დღეს მინდა, ერთ უბრალო, მაგრამ ძლიერ საინტერესო ადამიანზე გესაუბროთ, ადამიანზე, რომელიც საზოგადოებისათვის მისაბაძი მაგალითია თავისი ცხოვრების წესით, ზნე-ჩვეულებით, ადამიანური თვისებებით. ის მშრომელი, თავდაუზოგავი და სხვებზე ზრუნვით დაკავებული პიროვნებაა–დიდი ოჯახის დედა-დედაბოძი: სამი შვილის და ცხრა შვილიშვილის პატრონი (მეათე შვილიშვილს ელოდება).

გიული ბახტურიძე-ჯავახიშვილი, რომელსაც ოჯახში და არაოფიციალურად უმრავლესობა ლამზირად იცნობს, 1951 წელს დაიბადა ლაგოდეხში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, მერე სავაჭრო- ეკონომიკური სასწავლებელი და ათეული წლები ვაჭრობის სფეროს ემსახურებოდა, მაგრამ „ციფრების ტყვეობაში“ მოხვედრილს მუზა არ ასვენებდა და, როგორც ის თავადაც ამბობს: - „მოდის მუზა, როგორც თოვლის ფანტელი“. ჰუმანიტარული საგნები იზიდავდა მუდამ, უყვარდა წიგნი და ეცნობოდა ქართულ თუ მსოფლიო ლიტერატურას. გამორჩეულად მაინც პოეზიას აღმერთებდა და თავადაც არსად მიდიოდა „სიტყვის სასესხებლად“. თავისთვის წერდა ლექსებს და ინახავდა. მერე ოჯახის შექმნის დროც მოვიდა და ბედი ოზაანელ გივი ჯავახიშვილს დაუკავშირა. შრომობდა და უღელს ერთგულად ეწეოდა ცოლ-ქმარი. ოჯახი თანდათან იზრდებოდა. სამი შვილის აღზრდა იოლი არ იყო, მაგრამ ლამზირა თავს არ ზოგავდა. სოფლის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად, ის მაინც პოულობდა დროს თავისი საყვარელი პოეზიისათვის. ერთხელაც, გაბედა და რაიონულ გაზეთ „შირაქს“ ეწვია თავისი ლექსებით. რედაქციამ რამდენიმე ლექსი ამოირჩია და დაუბეჭდა. თან ურჩია, არ მიეტოვებინა წერა, რადგან მისი შემოქმედება ნამდვილად საინტერესო იყო, როგორც თემატიკით, ასევე ლექსთაწყობით. ამან მეტი სტიმული მისცა და ოჯახის წევრებს სწორედ მაშინ გაანდო თავისი გატაცების შესახებ. პერიოდულად აქვეყნებდა ლექსებს რაიონულ გაზეთში და კმაყოფილი იყო რედაქციასთან ურთიერთობით. მერე სიტუაცია აირია, გაუქმდა კოლმეურნეობები, ოზაანში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა სამშვილიან ოჯახს. წნორში გადავიდნენ საცხოვრებლად. კავშირები დედოფლისწყაროსთან არცთუ ისე ინტენსიური გახდა. და აი, რამდენიმე წლის წინ ლამზირა ისევ ეწვია გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. უკვე დაწვრილშვილებული, დიდი ოჯახის დიდი დედა. მისი თვალებიდან ისევ სითბო და სიყვარული იღვრებოდა... ისევ ლექსები მოიტანა, ისევ დავუბეჭდეთ. თავისი ამბები მოგვიყვა: -დიდი ოჯახი მაქვს, ბევრს ვშრომობთ, ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე ოპერატორად ვმუშაობ, არასამორიგეო დღეებში ჩვენი მანქანით მე და ჩემი მეუღლე სხვადასხვა სახის საქონელს ვთავაზობთ მომხმარებელს. ძალიან შრომატევადია, მაგრამ.. ვიდრე ადამიანი ცოცხალია, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა აკეთოს. დატვირთვის და ასაკის მიუხედავად, ისევ პოეზიის „ტყვე“ ვარ. ერთი დიდი სურვილი მაქვს, მინდა, ჩემი შემოქმედებით დახმარება გავუწიო შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებს. ეს ძალიან მინდა. თუ შევძლებ, წიგნს გამოვუშვებ, მისგან შემოსულ თანხას კი ასეთი ბავშვების დახმარების ფონდს შევწირავ, - გაგვანდო თავისი სურვილი ლამზირამ. ჩვენც შევეწიეთ, რჩევა მივეცით, გზა ვუჩვენეთ. გასული წლის ზაფხულში ის ისევ დაგვიკავშირდა. ძალიან საინტერესო სცენარი წარმოადგინა საახალწლო დღესასწაულისათვის. სცენარი წავიკითხეთ, მოგვეწონა, ცოტა „ხელიც გავკარით“ და.. . დეკემბერში ლამზირამ მშვენიერი, მაღალპოლიგრაფიული ხარისხით დაბეჭდილი, ფერადი წიგნი გამოუშვა. ჯერი წიგნის რეალიზაციაზე მიდგა, აქ კი... ბევრი გულსატკენი მომენტი შეგვხვდა. ლამზირასთან ერთად შემოვიარეთ ორგანიზაციები, ვუხსნიდით წიგნის გაყიდვის საქველმოქმედო დანიშნულებას, ვთხოვდით, ეყიდათ და ამით თავისი წვლილი შეეტანათ ამ კეთილშობილურ საქმეში, მაგრამ სურვილს ცოტა ვინმე თუ გამოთქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი შინაარსიანი, ლამაზი და იაფი, სულ რაღაც 3 ლარი, ღირდა. ინტერესი ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიამ და სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის ცენტრმა. (დირექტორი მაია ყოჩიაშვილი) გამოიჩინეს და, შეძლებისდაგვარად, გარკვეული რაოდენობის წიგნი შეიძინეს. გვერდში დაგვიდგა კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი ნონა ჯიბღაშვილი, რომელმაც დეკემბრის ბოლოს გამართულ საახალწლო კონცერტებზე მოსულ საზოგადოებას არაერთგზის განუმარტა ამ აქციის მნიშვნელობა და მოუწოდა მშობლებს, შეეძინათ მათი შვილებისთვის ეს მშვენიერი წიგნი საახალწლო საჩუქრად. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კულტურის სახლის ფოიეში გამართულ დახლს, სადაც ეს წიგნი იყიდებოდა, მშობლები ან გულგრილად ჩაუვლიდნენ გვერდს, ან წიგნს გადაშლიდნენ და.. 3 ლარად ჩემს შვილს „ხლაპუშკებს“ ვუყიდი და გავახარებო, ჩაილაპარაკებდნენ და გაეცლებოდნენ. ჩვენ გული არა მხოლოდ იმან დაგვწყვიტა, რომ ამ წიგნს არ ყიდულობდნენ, არამედ წიგნის და ცოდნის მიმართ საზოგადოების გაუცხოებამ, როცა მშობელს „ხლაპუშკა“ და კანფეტი ურჩევნია წიგნს, თორემ, გამოსავალი ყოველთვის გამოინახება. ჰოდა, ლამზირამაც უფრო კარგი გამოსავალი გამონახა, - „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და იმ დაწესებულებებს მიაკითხა, სადაც უნარშეზღუდული, სოციალურად დაუცველი ან ავადმყოფი ბავშვები არიან. უფასოდ დაურიგა ეს ლამაზი წიგნები და მათი გულები გაახარა. ის ეწვია წნორის უნარშეზღუდულ ბავშვთა სპეცსკოლას. თბილისში „ბავშვთა სოფელს“, იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა განყოფილებას, ბავშვთა დროებით თავშესაფრებს, დედოფლისწყაროში №1, №2 და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ინკლუზიური შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სპეცკლასებს. ასე რომ, ლამზირამ ჩაფიქრებული კეთილი საქმე, ცოტა სხვა ფორმით, მაგრამ მაინც სისრულეში მოიყვანა. მისი წიგნიც ხომ სწორედ სიკეთეს, ურთიერთთანაგრძნობას და სიყვარულს ქადაგებს: - ნაძვის ხესთან თავმოყრილი თოვლის პაპის, ფერიას, თოვლის ბიჭის, დათუნიას, ინვალიდი და ჯანმრთელი ბავშვების ერთიან ზეიმს სწორედ თანადგომა და სიყვარული უდევს საფუძვლად. აქვე მინდა აღვნიშნო წიგნის ღირსების გამორჩეული მხარე- საახალწლო ზეიმის სცენარს თან ერთვის იმ სიმღერების ტექსტები და ნოტები, რომლებიც მასშია გამოყენებული, რაც ავტორის მხრიდან დიდ შრომას და ძიებას მოითხოვდა. გულწრფელად გეტყვით, რომ ვინც ეს წიგნი „ფოჩიან კანფეტებზე“ გაცვალეთ, ერთი ლამაზი დღე და ოცნება წაართვით თქვენს შვილებს. ჩემს წერილს კი მაინც მოწოდებით დავამთავრებ; – გახსოვდეთ, წიგნის ფენომენს ვერაფერი შეცვლის, რადგან წაკითხულს ყველა ადამიანი თავისი შესაძლებლობების, ფანტაზიის და ხედვის შესაბამისად აღიქვამს, წიგნის პერსონაჟები ჩვენს წარმოსახვაში ისეთები არიან, როგორადაც ჩვენ წარმოგვიდგენია, წიგნი მზა რეცეპტებს არ გვთავაზობს და სწორედ ამიტომ არის შეუცვლელი. ამიტომ, ნუ დაივიწყებთ იმ სიამოვნებას, რაც წიგნს შეუძლია მოგიტანოთ.



ნაირა გორაშვილი

P.S. 1 თებერვალს ქალბატონ ლამზირა ჯავახიშვილს 64 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, სიხარულს თავის დიდ ოჯახთან ერთად და შემოქმედებით წარმატებებს.

არქიტექტორი, რომელსაც ელიის ტაძრის პროექტი ეკუთვნის

წინასწარმეტყველი ელია თეზბიტელი - ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი - ლევიტელთა ტომიდან აღმოცენდა ქრისტეს შობამდე ცხრაასზე მეტი წლის წინ. ნეტარის ზედწოდება - თეზბიტელი მისი მშობლიური ქალაქის, თეზბას სახელიდან მომდინარეობს (ეს ქალაქი, ერთი ვარაუდით, გალილეაში მდებარეობდა, სხვა მოსაზრებით კი - მდინარე იორდანეს მახლობლად, გალაადის ქვეყანაში).ეპიფანე კვიპრელის ცნობით, როდესაც ელია დაიბადა, მისმა მამამ იდუმალი ჩვენება იხილა: კეთილსახიერი ჭაბუკები ცეცხლის ალში ხვევდნენ ახალშობილს და ცეცხლით კვებავდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულია ორმწვერვალიანი მთა. მისი ორივე მწვერვალი თეთრი კირქვის მძლავრი მასივია, რომელთაც გაბატონებული ადგილი უკავიათ დედოფლისწყაროს ზეგანზე და შორიდანვე იქცევენ მნახველის ყურადღებას. ჩრდილოეთი მწვერვალი, რომელიც ნიკორციხის სახელითაა ცნობილი, ცოტა უფრო მაღალია (სიმაღლე 1001 მ. ზღვის დონიდან), ვიდრე სამხრეთი მწვერვალი, რომელსაც ელია ეწოდება, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ფრიალოკალთებიანი და ძნელად მისადგომია. აქ, შუა მთაში გამოჭრილ ფართო მღვიმეში, აშენებულია წმინდა ელიას ცნობილი სამლოცველო, რომელსაც ძველთაგანვე დიდ პატივს სცემდა დედოფლისწყაროს და მთელი ქიზიყის მოსახლეობა. ისტორიული ძეგლი V-VI საუკუნით თარიღდება, წმინდა ელიას მთის ნამონასტრალის აღდგენა 2007 წელს დასრულდა.. ტაძარი, ამჟამად, მოქმედია. მასპინძლისთვის საამაყო, ხოლო სტუმრისთვის მეტად საოცარ და საამო სანახავი ტაძრის აღდგენაში დიდი წვლილი მიუძღვის დედოფლისწყაროს არაერთ მოქალაქეს, მამა ნიკოლოზის და მამა პეტრეს თაოსნობით. შესაძლოა, ბევრმა არც იცის, რომ ამ შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლის არქიტექტორი ჩვენი რაიონის მკვიდრი სერგო ქართველიშვილი გახლავთ. ჩვენ სწორედ **სერგო ქართველიშვილს** ვსტუმრობთ.

მინი დოსიე: დაიბადა 1952 წელს, 22 აგვისტოს, 1969 წელს ჩაბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. სადიპლომო პრაქტიკა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიარა 1973 წელს. 1974 წლიდან განაწილებით მუშაობა დაიწყო "ს.ი. საქქალაქმშენ-სახლპროექტში" არქიტექტორად. 1976 წელს საკავშირო კონკურსში იღებს მონაწილეობას და იღებს პრემიას(თემა სოფლის ტიპის საცხოვრებელი სახლები);1987 წელს საქართველოს სამშენებლო სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო პირველი პრემია (თემა: 2-5-9-12-16 სართულიანი საცხოვრებელი სახლები-„იუგოსლავიური კარკასი".) 2004 წლიდან ირიცხება შ.პ.ს. „იმედი-2"-ის არქიტექტორად. 2006 წლის მარტიდან მუშაობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ინფრასტრუქტურის სპეციალისტად. 2010 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს დედოფლისწყაროს და ჰერეთის ეპარქიაში შექმნილ საეკლესიო ხუროთმოძღვრების განყოფილებაში ხუროთმოძღვრად. არის საპატრიარქოს არქიტექტორთა საბჭოს წევრი და პარალელურად დედოფლისწყაროს კულტურის სამსახურის ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი.

სამუშაო გამოცდილება: 1975 წ. საგარეჯოს მისასვლელი გზის კეთილმოწყობა; 1975-77 წწ.- 3-5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების დაპროექტება-მშენებლობა; მეორადი გამოყენებისთვის სერია „არმაზი-77"; 1978-79 წწ.- ინფრასტრუქტურული კორპუსი 75 ადგილზე ქ. ცხინვალში; 1980-82 წლებში-ანდეზიტის დასახლება(ბაკურიანთან); 1983-87 წწ. მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა სახლმშენის დაკვეთით; 1991-95 წწ. საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობის აღდგენა- რეკონსტრუქცია; 1996-2002 წწ. მიწვევით ბაზალეთის ტურისტული კომპლექსის მშენებლობა; 2005 წ. ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიის და დათვის ხევის მონაკვეთის დაპროექტება-მშენებლობა; 2006-2007წწ. წმ. ელია თეზბითელის სახელობის ტაძრის აღდგენა(გარემოს გლობალური ფონდის, მსოფლიო ბანკის და საქართველოს დაცული ტერიტორიების ცენტრის მიერ გამოცხადებულ მცირე გრანტების პროგრამის კონკურსის ფარგლებში); 2009 წ. სოფელ მირზაანში კვირაცხოვლობის სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე დედათა მონასტრის კელიების პროექტი. 2010 წელს წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის აღდგენის პროექტი. 2012 წელს წმ. ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტრის ბერებისთვის კელიების მშენებლობა.

- ბატონო სერგო, ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, მოგვიყევით თქვენს ბავშვობაზე, მშობლებზე, სკოლის წლებზე...

-დავიბადე 1952 წლის 22 აგვისტოს, წითელწყაროში. მამაჩემი დიმიტრი ქართველიშვილი წლების მანძილზე კულტურის სახლის დირექტორი იყო, ის საუკეთესოდ ხატავდა, უკრავდა და ასრულებდა თეატრალურ როლებს. დედა-ელენე ფოცხვერაშვილი საბავშვო ბაღის აღმზრდელი გახლდათ, ის ბავშვების მოსიყვარულე ქალბატონი იყო. მისგან მხოლოდ თბილი დამოკიდებულება მახსოვს. მამა მესხეთ-ჯავახეთინადანაა გადმოსახლებული და დედოფლისწყაროში, მაშინდელ წითელწყაროში ჩასახლებული. ბუნტად მახსოვს, ჩვენი სახლი რკინიგზასთან იდგა, სოფელ სამრეკლოსთან ახლოს, მერე რკინიგზა რომ ააშენეს, ის სახლიც მაშინ დაშალეს, ჩვენ აქეთ გადმოვედით. სკოლა წარჩინებით დავამთავრე, მიყვარდა მათემატიკა და რატომღაც ტანვარჯიში. მახსოვს, შეჯიბრებებზეც კი დავდიოდით სიღნაღის რაიონში.



-მოგვიყევით, შემდგომი წლები როგორ განვითარდა თქვენს ცხოვრებაში, სად განაგრძეთ სწავლა?!

-სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურულ ფაკულტეტზე განვაგრძე, უმაღლესში პირველ წელსვე მოვეწყე. სადიპლომო პრაქტიკა გერმანიაში გავიარე, 1974 წელს მუშაობა დავიწყე "საქქალაქმშენის სახლპროექტში" არქიტექტორად. 1975 წელს საკავშირო კონკურსები გამოცხადდა სოფლის ტიპის საცხოვრებელი სახლებზე, რაშიც ოთხმა გავიმარჯვეთ და პირველი პრემია მაშინ ავიღე, ეს ძალიან დიდი წარმატება და სიხარული იყო. მეორე პრემია იუგოსლავიური კარკასის დაპროექტების კონკურსში ავიღე, სწორედ მაშინ შევიძინე მანქანა და დღემდე მომყვება მაშინდელი ნაშრომის მადლი. პარალელურად, მიწვევით ვიყავი "გვირაბმშენში" ტურისტულ კომპლექს „ბაზალეთის" მშენებლობაზე. ეს სამსახურები დაიშალა, დღეს აღარ არსებობს. ცხოვრების შემდგომი განვითარებისას ისევ სრულიად შემთხვევით, ერთ-ერთ პროექტზე მუშაობის დროს, ჩემს მშობლიურ რაიონში პროექტის განხორციელება შემომთავაზეს, უარი არ მითქვამს, რადგან საქმე ელიას შეეხებოდა, ასე დავუბრუნდი ჩემს დედოფლისწყაროს, დღეს, ღვთის ნებით, კვლავ აქ ვტრიალებ, როგორც იტყვიან, საქმეების გამო შემოვრჩი ჩემს მშობლიურ კერას და მე ეს ძალიან მახარებს.

- როგორ დაიწყო ელიის პროექტი?

-დედოფლისწყაროში ერთ-ერთ პროექტზე ვიყავი ჩამოსული, მოგეხსენებათ, მე ამ რაიონში სამი მნიშვნელოვანი პროექტი მაქვს განხორციელებული: ყველმრეწვთან ახლოს წისქვილი, თამარის ციხეზე მცველთა სახლი და ელია. მამა ნიკოლოზი შემხვდა და შემომთავაზა, ელიის აღდგენის პროექტზე ვმუშაობთ და ხომ არ ჩაერთვებოდი, როგორც არქიტექტორიო?! რა თქმა უნდა, დავთანხმდი, თან ეკლესიების მშენებლობა ისეთი მადლიანი საქმეა, ქრისტიანი ადამიანი ამაზე უკეთესს რას გააკეთებს. არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. ელია პატარა, მაგრამ საკმაოდ რთული კონსტრუქცია იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ის კლდეზე უნდა აშენებულიყო, იყო მშენებლობის რამდენიმე დღე, როდესაც მშენებლები თოკებზე ეკიდნენ და ისე აჭყავდათ კედლები, ეს, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა არქიტექტორისთვის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მის აღდგენით სამუშაობებში შევიტანეთ მცირე ცვლილებები, ტაძარი მეოთხე-მეექვსე საუკუნეებიდან მოდის და ამ ხნის მანძილზე, ვიცით, რომ რამდენჯერმე მოხდა მისი აღდგენა-რესტავრირება. ამ ეტაპზე ჩვენ ვცადეთ ცოტა უფრო გაგვედიდებინა მისი ფართობი, რის შესაძლებლობაც მოგვეცა, გავაკეთეთ. ელია იყო ტაძარი, რომლის მშენებლობისას უფალი თითქოს თავზე მედგა და მეხმარებოდა, ისეთი სიზუსტით ჩაჯდა რამდენიმე კოჭი კედლის თარაზოში, რომ მე თვითონაც გაოცებული დავრჩი, ყველა ვგრძნობდით, რომ აქ ღვთის და თვით წმინდა ელიას მადლი გვმფარველობდა ზემოდან. ტაძრის აღდგენიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სიღნაღში აღმოაჩინა ჩემმა მეგობარმა ფოტო, რომელიც ჩვენი ელიის ფოტოს ძალიან ჰგავდა, აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ აშენებული და უწინდელი ელიის ტაძარი დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მათ შორის დიდი მსგავსებაა. ზუსტი აღდგენა რომ მოვახერხე, ამან ძალიან გამახარა. ერთადერთი რაცაა მათ შორის განსხვავება, ისაა, რომ ძველად სამრეკლო ცოტა უფრო ზემოთ ყოფილა, ჩვენ კი სამრეკლო ტაძრის წინ ბილიკში ჩავატანეთ, რაც, ჩემის აზრით, ბევრად უფრო ლამაზია.

-ელიის ტაძრის გარდა, კიდევ რა ეკუთვნის თქვენს ხელს, ჩვენი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ავტორიც თქვენ ხომ არ ბრძანდებით?

-არა, "ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის" ავტორი ჯანაშიაა, მან გააკეთა, ჩემს ხელს ამ ტაძრის კარიბჭეები და გალავანი ეკუთვნის, ასევე ეზოს დიზაინი.

- ამბობენ, რომ სამრეკლოში "წმ. სერაფიმე საროველს ტაძარიც" თქვენს მიერ იქნა აღდგენილი.

-კი, "სერაფიმე საროველის სახელობის" ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია ნაწილობრივ ნამდვილად ჩემს მიერ მოხდა, აღვადგინეთ გუმბათი, რომელიც საეკლესიო პირების თხოვნით ბიზანტიური გავაკეთე. ამ დროისთვის ტაძარში კიდევ ბევრი რამე გასაკეთებელია, შიგნიდან შესალესია, გასაკეთებელია კანკელი, ეზოს ტერიტორია კიდევ კეთილმოსაწყობია, რაც, ვფიქრობ, ეტაპობრივად დასრულდება. აღვადგინეთ სამლოცველო სახლი, სადაც დეკანოზი პეტრე აღავლენს წირვა-ლოცვას, სამლოცველო სახლი, რომელიც გასულ წელს დაიწვა და რომლის აღდგენაც საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. ამ ყველაფრის პარალელურად, მე ვმუშაობდი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში, როდესაც ჩემს მიერ იქნა გაკეთებული ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე დათვის ხევის სატრაპეზო ბილიკები, საპიკნიკე მცირე ფორმის დასვენების ზონები და გადასახედები. ასევე გავაკეთე თამარის ციხეზე მცველთა სახლი და საინფორმაციო ცენტრი. სოფელ მირზაანში, იქ, სადაც ადრე კულტურის სახლი იყო, კვირაცხოვლობის ეკლესიაა, სწორედ ამ ტაძარს გავუკეთე რესტავრირება, ამჟამად, თუ არ ვცდები, იქ დედათა მონასტერია.

-რა არის თქვენი სამომავლო გეგმები, თუ გაქვთ კიდევ დაგეგმილი რომელიმე ტაძრის მშენებლობა?

-უკვე მაქვს შედგენილი ნახაზი, სამლოცველო სახლის უკან პატარა ტაძრის მშენებლობა იგეგმება, ძალიან ლამაზი ტაძარი იქნება, თავისი სატრაპეზო ოთახებით და კელიით, რომელიც იქ უკვე არსებობს, მაგრამ აღდგენა-განახლება სჭირდება და ასევე იგეგმება, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობა, პროექტი საპატრიარქოში გასულ კვირას დაამტკიცეს. გაზაფულზე დაიწყება ამ პატარა ტაძრის აშენება.

-ტერიტორიულად სად განთავსდება აღნიშნული ტაძარი?

- ეს ტაძარი ძველი აბანოების მიმდებარე ტერიტორიაზე აიგება, ეზოში, სადაც ადრე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი იყო, კომუნისტებმა დაანგრიეს და საწყობები ააშენეს. ახლახანს ეს ადგილი საწყობებისგან გაიწმინდა და იგეგმება ტაძრის ხელახალი აგება, რომელიც ამინდების გამოსვლისთანავე დაიწყება.

- რაღა დაგიმალოთ და, სასიამოვნო სიახლეა, რაც მეტი ტაძარი აიგება ჩვენს რაიონში, მით მეტად გავძლიერდებით ღვთისმოსავობაში. ბატონო სერგო, თქვენს ოჯახურ მდგომარეობაზეც გვითხარით მცირე რამ...

-მეუღლე პროგრამისტია თბილისის სტატისტიკის სამმართველოში მუშაობს, მყავს ორი ვაჟი, ერთი არქიტექტორულზე სწავლობს, მეორე პროგრამისტია, ერთი 70 %-იან დაფინანსებაში მოხვდა, ხოლო მეორე მთლიანად სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა, მას კომაროვის სკოლა აქვს დამთავრებული, ამჟამად საუკეთესო სტუდენტია. მე ვამაყობ ჩემი ოჯახით და ორივე ვაჟით.

-გარდა იმისა, რომ 1978 წლიდან ხართ საქართველოს არქიტექტორთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირის წევრი, ამჟამინდელ თქვენს თანამდებობას როგორ მოიხსენიებენ?

-ვარ საპატრიარქოს ხუროთმოძღვრული საბჭოს წევრი, ამავე დროს, ვარ ეპარქიის წარმომადგენელი არქიტექტორი დედოფლისწყაროში და რაკი ამ რაიონში გამიგრძელდა ხანგრძლივი სამუშაო პროცესი, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ძეგლთა დაცვის მთავარ სპეციალისტად დამნიშნეს.

-არქიტექტორობა რთული პროფესიაა, თუმცა, მაინც ისე რიგად დაფასებული ვერაა დღესდღეობით, ამ გადასახედიდან როგორ აფასებთ თქვენს მიერ განვლილ ცხოვრებას, კმაყოფილი ხართ?

-უკმაყოფილო არ ვარ, რადგან ნებისმიერ საქმეში ვგრძნობდი უფლის დახმარებას და მის მფარველობას. ბედს არ ვემდური, რადგანაც ვთვლი, რომ წარმატებული არქიტექტორი ვარ, ჩემი პროფესიით სხვადასხვა დროს ვიყავი გერმანიაში, ფინეთში, იუგოსლავიაში. ღმერთმა წილად მარგუნა ეკლესიების აღდგენა-რესტავრაცია, რომლის პატივიც ყველა არქიტექტორს არ აქვს. ჯერ მხოლოდ ერთი ელია რად ღირს, მხოლოდ ეს იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ ბედნიერი კაცი ვყოფილიყავი, რადგან ელია ჩემი შემოქმედების შედევრია.

-არსებობს რაიმე, რაზეც გულისტკენა გაქვთ, ან როგორც არქიტექტორს, ხომ არ გაქვთ შენიშვნები რაიონის, ან ქალაქის ტერიტორიების მშენებლობებზე, რომლებიც შესაძლოა არ მოგწონთ და თქვენ, როგორც არქიტექტორს, გაქვთ თქვენი ხედვა ახლადწამოწყებული მშენებლობებისადმი?

-ვისურვებდი, რომ საქართველოში აღდგეს სამშენებლო სამინისტრო, რომელიც წლების წინ გააუქმეს და დიდი შეცდომაც დაუშვეს. ადრე არსებობდა ქალაქდაგეგმარების სამსახური, 20 წელინადში ერთხელ არქიტექტორები იკრიბებოდნენ და სად რა უნდა ყოფილიყო, სად რა უნდა აშენებულიყო, ყველაფერზე კარგად მსჯელობდნენ, აანალიზებდნენ, შეიძლებოდა თუ არა ესთეტიკურად ან სეისმურად რომელიმე უბანში რაიმე მშენებლობის წამოწყება და ასე შეთანხმებულად ხდებოდა ყველაფრის გათვლა, ახლა ვინც სად იყიდის ფართს და სადაც მოესურვება, იქ იწყებს მშენებლობას, ამიტომაც დაუშნოვდა ქალაქი თბილისი, მაგალითად ევროპის ყველა ქალაქი ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას, სიძველეს, იმ ხიბლს, რითაც ის ქალაქია ცნობილი მსოფლიოში და როგორიც არ უნდა ძველი იყოს ის, მსოფლიო ხალხს სწორედ ის სიძველე იზიდავს. ჩვენს თბილისს ძველებური სახლები ყველაზე კარგად და უხვად გვქონდა შემორჩენილი, მაგრამ იმ ძველს ახალი ისე უშნოდ ჩაუსართეს, სიყვარულის ხიდს ვგულისხმობ და მრავალ უაზრო შენობას, რაც აშენდა, რომ საერთოდ დაკარგა თბილისმა ძველი ხიბლი. მიმაჩნია, რომ ყველა მშენებლობას არქიტექტორი უნდა განაგებდეს და არა ვინმეს რაიმე სურვილები. რაც შეეხება დაფასებას, როგორც არქიტექტორის, რა თქმა უნდა, დაუფასებელი პროფესიაა, მაგრამ არქიტექტორობა არასოდეს არ იყო დაფასებული სათანადოდ, არც საბჭოთა კავშირის დროს და არც შემდეგ. იმისათვის, რომ ეს პროფესია დაფასდეს, ქვეყანა ეკონომიურად უნდა დადგეს ფეხზე, რომ მოგვეცეს საშუალება, უფრო გრანდიოზულ მშენებლობებს მოვკიდოთ ხელი. იმედი მაქვს, ჩემს დროს თუ არა, ჩემი შვილის დროს მაინც დაფასდებიან არქიტექტორები სათანადოდ. ეს დროც მოვა, მე ამის ღრმად მჯერა და მწამს.

ლალი მეხრიშვილი

30 წელი- სპორტის სამსახურში

კაკო მაჩაბლიშვილი 30 წელია სპორტის განვითარებას ემსახურება. ახალგაზრდა თაობას ჯანსაღი ცხოვრების წესს აზიარებს და ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდაში სერიოზული წვლილი შეაქვს. მას 4 თებერვალს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.

ის 1950 წლის 4 თებერვალს დაიბადა სოფელ არბოშიკში, 1971 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო სოფლების-ზემო ქედისა და არხილოსკალოს საშუალო სკოლებში, 1972-73 წლებში სამხედრო მოვალეობა მოიხადა შორეული აღმოსავლეთის ამურის ოლქში.

1973 წლიდან 30 წლის განმავლობაში იმუშავა დედოფლისწყაროს N 2 საჯარო სკოლაში ფიზკულტურისა და სპორტის მასწავლებლად, ხოლო 2003 წლიდან დღემდე სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგია.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, მისი ბიოგრაფია მნიშვნელოვან სპორტულ მიღწევებს ითვლის: 1966 წელს, ქალაქ თბილისში, მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობაზე მძლეოსნობაში პირველი ადგილი დაიკავა სიმაღლეზე ხტომაში, შედეგით-180 სმ, იმავე წელს ქალაქ ბათუმში ასეთივე შედეგით პირველი ადგილის მფლობელი გახდა, ხოლო სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილს დასჯერდა. მოსწავლეთა შორის რაიონის მრავალგზის ჩემპიონია 100 მეტრზე სირბილში, სიგრძეზე სამმაგ ხტომასა და სიმაღლეზე ხტომაში. 1970 წელს გამართულ ფეხბურთის ტურნირზე „ოქროს თავთავი“ მეორე ადგილი დაიკავა, სადაც ის მოსწავლეთა რაიონული ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა, ხოლო 1975 წელს, ქალაქ კასპში ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე ლელო-ბურთში მეორე ადგილის მფლობელი გახდა. ფეხბურთელთა არაერთი თაობა აღზარდა კაკო მასწავლებელმა. მისმა მოსწავლეებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს უმაღლეს ლიგაში. დედოფლისწყაროს რაიონული ნაკრები „შირაქი“ , ძირითადად, მისი აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. ხოლო1983 წელს დაბადებულმა სპორტსმენებმა კაკო მაჩაბლიშვილის თავკაცობით კახეთის პირველობაზე ფეხბურთში პირველი ადგილი დაიკავეს და 16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდნენ.

კაკო მასწავლებლის წარმატებათა ჩამონათვალის სია საკმაოდ გრძელია და შთამბეჭდავი. დღესაც იგი დიდი შემართებით განაგრძობს მოსწავლეებთან მუშაობას და კვლავ სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს. 4 თებერვალს ჩატარდა დედოფლისწყაროს რაიონული ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში, მიძღვნილი მისი საიუბილეო თარიღისადმი. ტურნირის გამარჯვებული გახდა ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის გუნდი, რომელსაც სამახსოვრო სიგელი გადაეცა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კაკო მაჩაბლიშვილს მიულოცა დაბადების დღე და სამახსოვრო სიგელი გადასცა მას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი ულოცავს კაკო მაჩაბლიშვილს დაბადებიდან 65 წლის იუბილეს, უსურვებს მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში.

სოციალურად დაუცველი რეკორდსმენი

მსოფლიო რეკორდი დამყარდა საქართველოში — ოთხგზის რეკორდსმენმა გოჩა კეკიშვილმა ორძელზე აზიდვაში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. პროცესი მსოფლიო გინესის რეკორდების მაფიქსირებელი ფედერაციის წარმომადგენლების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა.

სოციალურად დაუცველი რეკორდსმენი — რომელმაც გინესის რეკორდი ხუთჯერ მოხსნა, ფინანსური პრობლემების დაძლევას ვერ ახერხებს... მისი ერთადერთი შემოსავალი საარსებო შემწეობაა, რომელსაც სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იღებს. ქართველმა რეკორდსმენმა ინგლისელი სპორტსმენის შედეგი გააუმჯობესა, რომელიც 540 აზიდვის ავტორი იყო. ამჯერად, დედოფლისწყაროელი გოჩა კეკიშვილის რეკორდი კი 30 წუთში 656 მოძრაობით განისაზღვრა.

როგორც კავკასიის გინესის რეკორდების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა შოთა ქელდიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მიუხედავად ტრავმებისა, რეკორდსმენი არ ჩერდება და ახალ წარმატებებს აღწევს.

„მინდა მივულოცო გოჩას კიდევ ერთი წარმატება. მიუხედავად იმისა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავდა, მალევე შეძლო თავის ფორმაში მოყვანა და ახალი შედეგის მოხსნა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესა აქამდე არსებული შედეგი,“ - აღნიშნავს ქელდიშვილი.

47 წლის გოჩა კეკიშვილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროდანაა, მას გაზეთ „შირაქის“ მკითხველი უკვე იცნობს. 10 თვის წინ მან დედოფლისწყაროშიც მოხსნა რეკორდი. ცერემონია დედოფლისწყაროს სპორტულ ცენტრში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით

და ფინანსური თანადგომით ჩატარდა. მან ერთი საათის განმავლობაში 40 კილოგრამიანი გირი 1078-ჯერ აწია. მანამდე არსებული რეკორდი კი 850 აზიდვა იყო.

ხუთგზის მსოფლიო რეკორდსმენი დაუსაქმებელია და სოციალურად დაუცველთა დახმარებას იღებს. ფინანსური პრობლემების გამო ხშირად სათანადო სპორტულ მომზადებას ვერ ახერხებს.

გოჩა კეკიშვილი: „ამ რეკორდის დამყარება იოლი არ არის. წელიწადი ვემზადებოდი და დღეს მოვახერხე 30 წუთში ის შედეგი დამედო, რაც გინესის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ზოგადად, 2007 წლიდან ვვარჯიშობ. ოთხი რეკორდი მქონდა დამყარებული, მათ შორის ერთი დედოფლისწყაროში. ამ რეკორდებს მუდმივად აშუქებდა გინესის რეკორდების მაფიქსირებელი კლუბი „რეკორდი“. მზად ვარ, კვლავაც ვაგრძელებ ვარჯიშებს და დიდი იმედი მაქვს, რომ მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები გაითვალისწინებენ ჩემს ამ ენთუზიაზმს და ღონისძიების მოწყობას მაინც დაგვიფინანსებენ, რადგან ფინანსურად ძალიან მიჭირს და ხშირად ესეც მაფერხებს.

რაც შეეხება დედოფლისწყაროში დამყარებულ რეკორდს, ის შედეგები გერმანიაში გაიგზავნა და მათგან წერილობითი პასუხი უკვე მივიღეთ. მუშაობენ და დაახლოებით 4 თვეში გამოიცემა გინესის რეკორდების წიგნი, სადაც ეს შედეგი დაფიქსირდება. ასევე პასუხი მოგვწერა ინგლისმა, რომ ჩემი შედეგები სრულად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და მუშაობენ. დრო უნდა, რომ შედეგები წიგნში აისახოს. ასევე, მინდა გითხრათ, რომ კატასტროფასთან მიახლოებულია ჩემი სავარჯიშო პირობები. გარდა იმისა, რომ სათანადო გარემო არ მაქვს, ვერ ვახერხებ ვერანაირი საკვები დანამატის მიღებას. ენითაც ვერ აღვწერ, როგორ ვვარჯიშობ. არადა, შემიძლია, მინიმალური ხარჯებით, დაახლოებით 800-დან 1000 ლარამდე რომ მქონდეს, შემიძლია თვენახევარში მოვამზადო ახალ-ახალი რეკორდები. თუკი ცალკეულ კომპანიებს სურვილი ექნებათ, მხარდაჭერა გამოხატონ ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ და დააფინანსონ ჩემი სპორტული მომზადება, დარწმუნებული ვარ, ჩემი შრომა უკვალოდ არ ჩაივლის. ჩემი ხარჯებით ვერ ვახერხებ სპორტული ინვენტარის შეძენას. მოგესენებათ, სპორტულ დარბაზებში კი სააბონენტო ბარათის შეძენა საკმაოდ ძვირია. შეიძლება ითქვას, რომ ცარიელი ხელებით, სახლის პირობებში მიწევს ურთულესი რეკორდების მოხსნა და შედეგების მიღწევა. არადა, მიღებული ფორმაა ფინანსურად დამეხმარონ, მე კი მათი სახელწოდების მაისურით დავამყარებ რეკორდს. ძალიან მინდა, რომ მხარდამჭერი გამომიჩნდეს. გასული წლის მაისში უბედური შემთვევისას დავშავდი, სიკვდილს ძლივს გადავრჩი, მაგრამ ორ თვეში ვარჯიში დავიწყე. თუმცა, ისევ დაუსაქმებელი ვარ, თბილისში, ავტომანქანების სამრეცხაოში ვმუშაობდი, თუმცა წელიწადნახევრის წინ გაუგებარი მიზეზებით გამათავისუფლეს. მას შემდეგ მე და ჩემი ოჯახი შემოსავლის გარეშე ვართ, ტრავმის გამო სიარულიც მიჭირს. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი სახელმწიფოს სოციალური დახმარებაა. ასე რომ, სოციალურად დაუცველი გინესის რეკორდსმენი ვარ, ხაზს ვუსვამ, სოციალურად დაუცველი რეკორდსმენი.“

ილია მარტყოფლიშვილი

კიბოს მსოფლიო დღე 2015

კიბოს მსოფლიო დღე არაჩვეულებრივი ინიციატივაა, რომლის საშუალებითაც მთელ მსოფლიოს შეუძლია გაერთიანდეს კიბოს გლობალური გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ყოველწლიურად 4 თებერვალს იმართება.

კიბოს მსოფლიო დღის ინიციატორია კიბოს კონტროლის საერთაშორისო გაერთიანება (UICC) - წამყვანი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა უწყებას კიბოს გლობალური ტვირთის შემცირებისთვის ბრძოლაში; იგი ხელს უწყობს კიბოს კონტროლის საკითხის მსოფლიო ჯანდაცვისა და განვითარების დღის წესრიგში ჩართვას.

კიბოს მსოფლიო დღე მიზნად ისახავს ყოველწლიურად მოახდინოს მილიონობით ადამიანის სიკვდილის პრევენცია კიბოს შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებითა და განათლების გზით; მოუწოდებს როგორც მთავრობებს, ისე ცალკეულ ინდივიდებს მთელ მსოფლიოში, მონაწილეობა მიიღონ ამ დაავადების გავრცელები წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დღის მიზანია, ყველამ, ვისაც შეეხო დაავადება ან მონაწილეობს მის მართვაში - პაციენტები, ოჯახები, თემები, პროფესიული ასოციაციები, კერძო სექტორი და მთავრობა - გააცნობიეროს საკუთარი როლი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

რატომ არის კიბოს მსოფლიო დღე მნიშვნელოვანი?

მიუხედავად იმისა, რომ კიბო მსოფლიოში სიკვდილის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, დღის წესრიგში ჯერ კიდევ არ დგას მისი პრიორიტეტულობის საკითხი. 2008 წელს კიბოთი სიკვდილის 7.8 მილიონი და დაავადების 12.7 მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა. ჩარევის გარეშე, კიბოს გლობალური ტვირთი 2030 წლისთვის, სავარაუდოდ, კიდევ 75%-ით გაიზრდება.

ყოველთვიურად 600 000 კიბოთი დაავადებული ადამიანი იღუპება მაშინ, როდესაც ფატალური დასასრულის თავიდან აცილება უმეტესწილად შესაძლებელია კიბოს პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამების საშუალებით.

თუ არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით და არ გატარდა სტრატეგიული ღონისძიებები ამ დაავადების გავრცელების შესამცირებლად, მომავალში კიბოთი კვლავაც მილიონობით ადამიანი დაიღუპება. დადგენილია, რომ კიბოს შემთხვევების ზრდა, სამწუხაროდ, განსაკუთრებით დააზარალებს მცირე და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს, რომლებსაც უჭირთ ამ დაავადებასთან გამკლავება სოციალური და ეკონომიკური მიზეზების გამო.

მარტივად რომ ვთქვათ, გლობალურად კიბოს გავრცელება დიდია და მოსალოდნელია მისი ზრდა მომავალშიც. ამჟამად, ყოველწლიურად 8.2 მილიონი ადამიანი იღუპება ამ დაავადებით. აქედან 4 მილიონი იღუპება ნაადრევად (30-დან 69 წლამდე ასაკში). სამწუხარო რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იზრდება დაავადების პრევენციის, მკურნალობისა და პალიატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობის უთანასწორობა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მხრივ და პრაქტიკული სტრატეგიული მიმართულებების გატარება კიბოს გლობალური ტვირთის შესამცირებლად. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა გაერთიანება კიბოსთან ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესებისა და კიბოს კონტროლისთვის გამიზნული ეროვნული გეგმების დანერგვის ხელშეწყობისთვის.

გარდა ამისა, საზოგადოებას გვაქვს კოლექტიური პასუხისმგებლობა, მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი რესურსები კიბოს გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კიბოს მსოფლიო დღე მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობასა თუ მედიაში კიბოს პრობლემის გაჟღერებისა და კიბოს შესახებ ინფორმაციის გავრცელების იდეალური საშუალებაა.

კიბოს გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია და გლობალური ადვოკატირება

2008 წელს, UICC-მა შეიმუშავა მსოფლიო კიბოს დეკლარაცია, როგორც ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მან კიბოს პრობლემისკენ მიმართა მთავრობის წარმომადგენლებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელთა ყურადღება.

2020 წლისთვის კიბოს გლობალური ტვირთის მნიშვნელოვნად შესამცირებლად შემუშავებულ იქნა დეკლარაციის 11 სამიზნე. ამ სამიზნეების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისთვის. დეკლარაცია, 500 000-ზე მეტი ხელმომწერით, წარმოადგენს კიბოს კონტროლის სამიზნეების მიღწევისთვის აუცილებელი პოლიტიკური ნების წინაპირობას გაერთიანებული ერებისა და სხვა დონეებზე.

კიბოს მსოფლიო დეკლარაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს: კიბოს მონიტორინგი და ზედამხედველობა, ადამიანის პაპილომა ვირუსისა და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელისა და კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, ხელმისაწვდომობა აუცილებელ მედიკამენტებზე, ტექნოლოგიებსა და პალიატიურ მზრუნველობაზე.

ახლა, როგორც არასდროს, არსებობს ეროვნული ვალდებულების აღების საჭიროება, რომლის მიზანია სწორი პოლიტიკისა და კიბოს კონტროლის ეროვნული სტრატეგიის დანერგვა.

კიბოს მსოფლიო დღე მთავრობებს ჩართულობისკენ და იმ ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს, რომელიც კიბოს პრევენციისა და მართვის ყველა ღონისძიებებს - პირველადი პრევენცია, ადრეული გამოვლენა, ეფექტური მკურნალობა და პალიატიური მზრუნველობა - აერთიანებს.

2015 წლის კიბოს მსოფლიო დღის სლოგანია „ჩვენ მას დავძლევთ“

თუ ავირჩევთ ცხოვრების ჯანსაღ წესს

კიბოს სოციალური და ეკონომიკური რისკ-ფაქტორების შემცირება და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება წარმოადგენს ძირითად კომპონენტს გლობალური მიზნის მიღწევის საქმეში, რომელიც გულისხმობს არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობის 25%-ით შემცირებას 2015 წლისთვის და კიბოს მსოფლიო დეკლარაციის სასურველი სამიზნეების მიღწევას.

თუ კიბოს ადრეულად გამოვავლენთ

კიბოს სკრინინგ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს კიბოს ტვირთი ყველა ქვეყანაში.

თუ მკურნალობას ყველასათვის ხელმისაწვდომს გავხდით

ყველა ადამიანს აქვს კიბოს ხარისხიანი და ეფექტური მკურნალობის უფლება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა თუ სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად.

თუ მაქსიმალურად გავაუმჯობესებთ სიცოცხლის ხარისხს

კიბოს ზემოქმედების შედეგების გაცნობიერება ადამიანის ემოციურ, გონებრივ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე, და შემდგომ ამ შედეგებზე რეაგირება მაქსიმალურად გააუმჯობესებს პაციენტების, მათი ოჯახის წევრებისა და მომვლელების სიცოცხლის ხარისხს.

ბაკურ ბაცაცაშვილი



ერთი წელი გავიდა უშენოდ, შვილო ბაკურ. დაუნდობელმა სიკვდილმა დიდი , მოუშუშებელი ტკივილი მოგვაყენა შენს ახლობლებს. არაფერი ყოფილა ამ წუთისოფელში სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი.

ერთი წელი გავიდა, მაგრამ შენი წასვლით გამოწვეულ სევდასა და ტკივილს ვერაფერი შეცვლის. როგორ გწყუროდა სიცოცხლე, მაგრამ წუთისოფელმა არ დაგინდო, წაგვართვა შენი თავი.

გაუსაძლისია უშენობა, რამდენი სითბო და სიკეთე დაგითესია. ყველაზე საშინელი განცდა ყოფილა დედისთვის, აიღო კალამი და დაწერო იმ უმწარეს უბედურებაზე, რასაც შვილის სიკვდილი ჰქვია. წერო წარსულის მოგონებებით, რომელთა გახსენებაც უდიდესი ტკივილია ჩემთვის.

დარჩა შენი ძმა სენს გარეშე მხარმოტეხილი, მაგრამ მის გულში მუდამ იცოცხლებ... მუდამ სევდიანი მამაშენის ყოველი შემოხედვა გულს მითუთქავს. 20 თებერვალს შენი დაბადების რეა, მოვალთ შენს საფლავთან და დაგინთებთ სანთლებს და მოგილოცავთ დაბაების დღეს იმქვეყნიურ სამყაროში, უფალს შევევედრებით, რომ ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათონ გზა სასუფეველისკენ, რომელშიც, გვჯერა, რომ შენი კეთილი სული აუცილებლად დაიმკვიდრებს ადგილს.

შენი უგედური
მშობლები და ძმა

ყურადღება!

იყიდება რესტორანი „შუა ქალაქში“
ქ.დედოფლისწყარო, ფალიაშვილის ქ.№5
(ყოფილი “კეტჩის” ტერიტორია)
საკონტაქტო ტელეფონი:

599 67 77 99

დაგვიანებული გამოხმაურება

ეს მცირე კორესპოდენცია დაგვიანებული მადლობაა სოფელ სამრეკლოს დაწყებითი კლასების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომლებმაც მშვენიერი დღესასწაულით გააცილეს შემოდგომა და უდიდესი მონდომება, შრომა ჩააქსოვეს ერთი ლამაზი დღის მომზადებასა და ჩანაფიქრის განხორციელებაში.

ალბათ გამიგებთ და მაპატიებთ, რომ თქვენი ღონისძიების ამსახველ ინფორმაციას ასე გვიან და, თანაც, შემცირებული სახით ვაგზავნი რედაქციაში.

* * *

„ოჰ, ეს ფოთლები ფენილი ქარით,
ეს მწუხარება, ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?“

ამ სიტყვებით გახსნეს ღონისძიება მეოთხე კლასის მოსწავლეებმა ლია ტოკლიკიშვილმა და ნიკოლოზ ყოჩიაშვილმა დიდი აღტაცება გამოიწვია დარბაზში პირველკლასელი თაგუნიების (ილია ჩოქური, ვალერი სისაური, ნიკა ლეკაშვილი, შაკო ქარსამაული, ნიკა წიკლაური) გამოჩენამ, რომლებმაც მიისაკუთრეს სალომე ბებიას (მარი ბენაშვილი) და პაპა სოლომონის (საბა ზურიკაშვილი) მიერ შეგროვებული კაკალი. თაგუნიების ამბავს საინტერესოდ გადმოგვცემდნენ მთხრობელები: მათე მაძღარაშვილი, ხვიჩა ქავთარაძე და ალეკო ცაკაშვილი

პირველკლასელებს ტოლი არ დაუდეს მეორეკლასელებმაც (იზა აიდარაშვილი, გიგა ლეკაშვილი, ნატალი ბაცაცაშვილი, ნანა ნატროშვილი). მათ გამოსვლას მოჰყვა ცეკვა „ქართული“ ნიკა მაისურაძის და ანი ბოსტოღანაშვილის და სიმღერა ნინო ღორაშვილის შესრულებით.

შემოდგომა მობრძანებულიყო „ტატოს დუქანშიც“, სადაც თეთრ წინსაფრებში გამოწყობილ მზარეულებს – ტატო იაკობიშვილს, გიორგი ცაკაშვილს და მაკა ბენაშვილს უგემრიელესი ხინკალი მოეხარშათ, მათ საქმიანობას რეკლამას უკეთებდნენ მესამე კლასის მოსწავლეები: დავით გრიგორიანი და თორნიკე გაბიდაური, ხალისიანი მზარეულები ცეკვით გამოხატავდნენ სიხარულსა და აღტაცებას.

სალომე ჯოჯიკაშვილმა წკრიალა ხმით უმღერა ბარაქიან შემოდგომას.

სასცენო კოსტიუმებში გამოწყობილმა ბავშვებმა: ლუკა ბიბილაშვილმა, ნათია ალბუთაშვილმა, ნიკა ხატიაშვილმა ანრი მარტყოფლიშვილმა და ანა მაზანაშვილმა ლექსები მიუძღვნეს შემოდგომის ჯადოსნურ ფერთა მოზაიკას.

აღტაცებულმა მაყურებელმა აპლოდისმენტებით დააჯილდოვა ცანგალა და გოგონა. (გიორგი ტალიაშვილი და მზიკო ბენაშვილი), რომლებმაც საუკეთესოდ შეასრულეს ეს შესანისნავი ცეკვა.

ღონისძიება დაასრულეს კინტოს ფორმებში გამოწყობილმა მეოთხეკლასელებმა: ნიკოლზ ბოსტოღანაშვილმა, გიორგი ჩიბუხაშვილმა და ნიკა ყოჩიაშვილმა.

კინტოები ფიალით ხელში გულიდან ამოსული ქართული სიტყვით ადღეგრძელებდნენ საქართველოს: „ო, ღმერთო ჩემო, შენ მიდღეგრძელე ჩემი სამშობლო დიდების ღირსი!“

* * *

ღონისძიებამ კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქა სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით მშვენიერი სცენარის ავტორებს, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მარინა ლაპიაშვილს, მაია ნასრაშვილს, ნანული ნატროშვილს, ნინო ხუციშვილს და ია უსტიაშვილს.

მაშინ არ მიფიქრია, რომ შემოდგომის ზეიმს ბოლოჯერ ვესწრებოდი,როგორც ჩემი საყვარელი კოლეგების ხელმძღვანელი, მათი ღვაწლის პირველი და უშუალო შემფასებელი და დამფასებელი.

მოულოდნელ საკადრო ცვლილებებს ჩვენს სკოლაში მასწავლებლების გარკვეული დაბნეულობა მოჰყვა. წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობების დარღვევას უკვალოდ არ ჩაუვლია არც ჩემთვის, არც მათთვის. ეს არაერთხელ ვიგრძენი და ამოვიკითხე მათ მზერასა და განწყობაში, მათ ცრემლიან თვალებში.

მადლობა ყველას! ეს იყო ყველაზე დიდი მორალური მხარდაჭერა და თანადგომა, ყველაზე დიდი გამხნევება,რაც ოდესმე მიმიღია.

მინდა გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ, გაფასებთ, პატივს გცემთ და ეს არ შეიცვლება.

ქეთევან ზარაფიშვილი
სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის მასწავლებელი

ცხადდება კონკურსი

NACRES · FAUNA & FLORA INTERNATIONAL

ნაკრესის ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი აცხადებს ნახატების კონკურსს სახელწოდებით:„ნუ ესვრი - დაეხმარე, რომ გადარჩეს“ (საკითხის მოკლე მიმოხილვა).

კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ადამიანი ნადირობითა და შემგროვებლობით ირჩენდა თავს. ველური ცხოველების მოშინაურებით და მიწათმოქმედების საქმიანობაზე გადასვლით ადამიანს საშუალება მიეცა განევითარებინა მეცნიერება და კულტურა, თუმცა ასეთ განვითარებას თან სდევდა გარემოს ინტენსიური ცვლილება (ტყეების ჩეხვა, ირიგაცია, მტაცებლებთან ბრძოლა და სხვა) და ველური სახეობების რიცხოვნობის შემცირება.

XX საუკუნის ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ეს პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა და მას გლობალური სახე მისცა. ადამიანი ბუნებრივ რესურსებს არნახული „მადით“მოიპოვებდა, რასაც მოჰყვა მრავალი სახეობის ჰაბიტატის ცვლილება. ინტენსიური ნადირობა ბეწვისა და ტყავის მოპოვების მიზნით დამტაცებლებთან ბრძოლა საწამლავის გამოყენებით სახეობების რიცხოვნობის შემცირებას იწვევდა. საქართველოში მრავალი ველური სახეობის რიცხოვნობის შემცირება სწორედ XX საუკუნის დასაწყისში იწყება, საუკუნის მიწურულს კი მსხვილი ძუძუმწოვრების რამოდენიმე სახეობა: ქურციკი, ზოლებიანი აფთარი და ჯიქი ქვეყნის ტერიტორიიდან გაქრა. მრავალი სახეობა იმდენად შემცირდა, რომ გადაშენების პირას იმყოფება (მაგალითად კეთილშობილი ირემი, ნიამორი და დასავლეთკავკასიური ჯიხვი), ზოგიერთი კი განაგრძობს ბრძოლას გადარჩენისთვის (ფოცხვერი, მურა დათვი, არჩვი, აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი და სხვა).

ბრძოლა მტაცებლებთან დღესაც გრძელდება და გასაკვირი არ არის, რომ ისეთი მტაცებლები, როგორიცაა ტურა და მგელი, ბევრ ჩვენთაგანში ძლიერ უარყოფით გრძნობებს (შიში, ზიზღი და აგრესია) იწვევს. ტურის და განსაკუთრებით მგლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ახსნადია - ისინი შინაურ პირუტყვს ესხმიან თავს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მტაცებლები მნიშნელოვან რგოლს წარმოადგენენ სრულფასოვანი ეკოსისტემის ფუნქციონირებაში სადაც ძირითადად ველური მსხვერპლი სახეობებით იკვებებიან.

სწორედ საზოგადოებისთვის იმის შესახსენებლად, თუ რის პატრონები ვართ, რა დავკარგეთ და რა შეიძლება დავკარგოთ მომავალში, ჩვენ გადავწყვიტეთ, გამოგვეცხადებინა ნახატების კონკურსი სახელწოდებით: „ნუ ესვრი - დაეხმარე, რომ გადარჩეს“. ჩვენ მოვუწოდებთ ხატვის ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს მიიღონ კონკურსში მონაწილეობა, დახატონ მათთვის ყველაზე საინტერესო, საყვარელი ან მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ბინადარი ძუძუმწოვარი სახეობა.

კონკურსის პირობები შემდეგია:

- მონაწილეობის მსურველები კონკურსზე რეგისტრაციისთვის უნდა დაუკავშირდნენ ნაკრესის ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფს;
- მონაწილეობა შეუძლია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლების, VI-XII კლასის მოსწავლეებს;
- საკონკურსოდ მიიღება საქართველოში გავრცელებული (ან ამჟამად გადაშენებული) ძუძუმწოვრების ნახატები;
- ნამუშევარს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია: ავტორის სახელი, გვარი, სკოლა, კლასი, ტელეფონი და მოკლე აღწერა თუ რატომ აირჩია ეს სახეობა;
- ნახატების ჩაბარების ბოლო ვადაა 27 თებერვალი
- კონკურსს ეყოლება სამი გამარჯვებული, რომელთაგან ორს შეარჩევს ჟიური, ხოლო ერთი ნახატი გამოვლინდება რეაგირების ჯგუფის ფეისბუქის გვერდზე მოწონებების საშუალებით.
- გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, დაჯილდოვების თარიღი გეცნობებათ ნამუშევარზე მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, რეგისტრაციისთვის და ნამუშევრების ჩასაბარებლად, დარეკეთ: 555 54 04 74;
ან მოგვწერეთ facebook გვერდზე: www.facebook.com/NACRESHCCRT

კონკურსი ტარდება „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის“ ფარგლებში, რომელიც 2009 წლიდან ხორციელდება საქართველოში და მისი ზოგადი მიზანია უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის მქონე სემიარიდული ლანდშაფტის შენარჩუნენაბა და შენახვა. პროექტის ძირითადი ამოცანაა თუშეთისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და მათ შემოგარენში ადგილობრივ მოსახლეობასა და მტაცებლებს შორის კონფლიქტის შერბილება. პროექტს ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ფაუნა და ფლორა“ (Fauna & Flora International) და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“. პროექტი დაფინანსებულია აკაციის კონსერვაციული ფონდის მიერ (Acacia Conservation Fund).

ულოცავენ!

ქეთინო და კახა ჯალიაშვილებს!

გილოცავთ შვილების ნიკას და თეონას ბედნიერებას, ახლადდაქორწინებულებს ვუსურვებთ სიყვარულით და შეხმატკბილებულად გაევლოთ ცხოვრების რთული, მაგრამ საინტერესო გზა. გამრავლდნენ და გაიხარონ. ღვთის წყალობა, ზეცის სიო და მზის სითბო არ მოჰკლებოდეთ.

პატივისცემით,
სუპერმარკეტ „უნივერსალის“ თანამშრომლები.

ნაირა გორაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს.

თითოეული იუბილე ხომ სხვა არაფერია, თუ არა უკან მოხედვა და დაფიქრება-რა გავაკეთე და რა დამრჩა გასაკეთებელი? თქვენ ბევრი გააკეთეთ, როგორც დედამ და როგორც ბებიამ, ასევე როგორც რედაქტორმაც. თქვენ კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელი! თქვენს ასაკსაც ხომ ვერავინ მიხვდება,მას თვენი ახალგაზრდული იერსახე და შემართება კარგად მალავს..

გისურვებთ მხნეობას, დღეგრძელობას და სურვილების ასრულებას!

სიყვარულით თქვენი „შირაქელები“

დაჯილდოება

საქვემოქმედო საზოგადოებამ „ამაგდარი“ მაღალი პროფესიონალიზმისთვის და საზოგადოების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელები გადასცა **დედოფლისწყაროს ი.ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავჯდომარეს** ვანო ნატროშვილსა და **თავჯდომარის მოადგილეს** ნანა ჭიჭინაძეს.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 09.02		სამშაბათი 10.02		ოთხშაბათი 11.02		ხუთშაბათი 12.02		პარასკევი 13.02		შაბათი 14.02		კვირა 15.02	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	3 °	2 °	6 °	4 °	3 °	1 °	0 °	-1 °	0 °	-1 °	1 °	0 °	1 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K